



4026/3-70/21 2 28042021

4026/3-70/21
28-04-2021

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს,
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე

როგორც მოგეხსენებათ, წალკის რაიონის დაბა ბედიანში ფუნქციონირებს შშმ პირთა თავშესაფარი, რომელიც წარმოადგენს ყოფილ რესპუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოს. 2018 წელს სახალხო დამცველის ანგარიშში ჩაიწერა რომ „დიდი ზომის ინსტიტუციებში ცხოვრება ეწინააღმდეგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მოუწოდებს სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ უწყებებს, რათა უმოკლეს ვადებში გადადგან ეფექტიანი ნაბიჯები ინსტიტუციონალიზაციის პროცესისა და თემზე დაფუძნებული მომსახურებების განვითარების ხელშესაწყობად.“ მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის პროტესტის შედეგად დაწესებულების ერთმა კორპუსმა გააგრძელა შეზღუდული ფუნქციონირება, მოხდა თანამშრომლების შემცირება, ხელფასების კლება და დაწესებულება ყოველთვიურ ზარალზეა. ბედიანში და ახლომდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახების შემოსავალი ძირითადად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დასაქმებულთა ხელფასებია.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია, რა გეგმები აქვს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბედიანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოსთან დაკავშირებით და რა ნაბიჯები იდგმება მოსახლეობის რესოციალიზაციის კუთხით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
გოგი მეშველიანი



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

**Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,
Labour, Health and Social Affairs of Georgia**



KA030182269480121

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/9312

25 / ივნისი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ გოგი მეშველიანს

ბატონო გოგი,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი N4026/3-70/21 და N5505/3-70/21 წერილები დაბა ბედიანში არსებულ შშმ პირთა თავშესაფრის პრობლემების თაობაზე.

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2019 წლის სექტემბრამდე, შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ ბედიანის კლინიკა გაშლილი იყო 160 საწოლზე და დასაქმებული იყო 53 პირი: 3 ექიმი-ფსიქიატრი, 8 ექიმი კონსულტანტი (ხელშეკრულებით); 6 ექთანი, 19 ექთნის დამხმარე და სხვა დამხმარე პერსონალი (25 პირი).

კლინიკა ხშირად გამხდარა სახალხო დამცველის აპარატის კრიტიკის ობიექტი პაციენტებისათვის არასახარბიელო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების, გაუმართავი ინფრასტრუქტურის, პაციენტებისთვის პირადი სივრცის არარსებობის და მათი პრივატულობის დაუცველობის გამო. სანებართვო პირობების დაუკმაყოფილებლობისთვის (ერთ სტაციონარულ საწოლზე ფართობის შეუსაბამობა მარეგულირებელ ნორმებთან; სათავსოების და პალატების კაპიტალური რემონტის საჭიროება, სანიტარულ-ჰიგიენური კვანძების გაუმართაობა, შეშის ღუმელით გათბობა და ა.შ.) დაწესებულება სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ ორჯერ იყო დაჯარიმებული.

მინისტრის სათათბირო ორგანოს - ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს 2019 წლის 6 მაისის ხდომამდე, წევრების მიერ ერთხმად იქნა აღნიშნული ბედიანის კლინიკის ფუნქციონირების გაგრძელების შეუძლებლობა არა მარტო არსებული ინფრასტრუქტურის და სანიტარული პირობების, არამედ თანამედროვე ფსიქიატრიული სერვისების განვითარების კონცეფციასთან მისი სრული არათავსებადობის გამო, რაც სპეციფიური გეოგრაფიული მდებარეობითაა განპირობებული. კერძოდ, დაწესებულება დიდი მანძილით არის დაშორებული დასახლებული პუნქტებიდან და საკალი გზის მოუნესრიგებლობის გამო რთული განსახორციელებელია პაციენტთა სომატური დაავადებების მკურნალობა დროულად და ოპერატიულად, ვერ განიხილება ამბულატორიული სერვისების განვითარების და თემში ინტეგრაციის შესაძლებლობა და ა.შ. ამასთან, ამავე მოტივით, საბჭოს წევრების მიერ გაუმართლებლად იქნა მიჩნეული ინვესტიცია ფსიქიკური სერვისების იქ ხელახლა გაჩენისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო (ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს 2019 წლის 6 მაისის სხდომის ოქმი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის ოქტომბერი-დეკემბრის თვეში ბედიანიდან 120 პაციენტი გადაყვანილი იქნა სხვადასხვა ფსიქიკური სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებებში.


2019 წლის ოქტომბრის ბოლოს ერთ-ერთი კორპუსს (ქალთა კორპუსი), რომელიც ყველაზე ნაკლებ საჭიროებდა რეაბილიტაციას, ჩაუტარდა კოსმეტიკური რემონტი და გაკეთდა ცენტრალური გათბობა, დამონტაჟდა საშხაპე და ტუალეტები. დანარჩენი კორპუსები უბრალოდ აღარ ექვემდებარება რეაბილიტაციას.

2019 წლის ბოლოს, ბედიანის კლინიკამ ჩააბარა სტაციონარული საქმიანობის ნებართვა და დაიწყო თავშესაფრის ფუნქციების განხორციელება. ამჟამად იქ იმყოფება 37 ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე პაციენტი. დასაქმებულია 45 პირი. საშუალო პერსონალის ხელფასები 300-350 ლარამდე მერყეობს, მედდების ხელფასია 450-600 ლარი, ხოლო ექიმი ფსიქიატრის - 1000 ლარი.

დამატებით გაცნობებთ, რომ საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) ტექნიკური დახმარებით მომზადებულია საქართველოს 2021-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიის პროექტი, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს დეცენტრალიზაცია და სათემო სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს პაციენტთათვის მათ საცხოვრებელთან ახლოს მაღალი ხარისხის ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების უზრუნველყოფას და თემში ინტეგრაციის პროცესს. სწორედ აღნიშნულ კონტექსტში განიხილება ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების მომავალი განვითარება.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

თამარ გაბუნია